საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

№ 327

29/09/2025

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2025 წლის 31 იანვრის №11 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმის, წესისა და საგამოცდო პროგრამის, საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის ფორმისა და გაცემის წესის“ მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტსა“ და სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს შორის 2025 წლის 25 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № G-76/25 ხელშეკრულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციითა და სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციით, ორ ეტაპად.
2. საკვალიფიკაციო გამოცდის I ეტაპის (ტესტირება) თარიღად როგორც საერთო, ასევე სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციით, განისაზღვროს 2025 წლის 29 ნოემბერი, ხოლო გამოცდის II ეტაპის (წერითი გამოცდა) თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 13 დეკემბერი.
3. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ადგილად განისაზღვროს: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (მის.: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №1).
4. საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს პერიოდი: 2025 წლის 01 ოქტომბრიდან – 31 ოქტომბრის ჩათვლით.
5. დაევალოს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის სამდივნოს უზრუნველყოს გამოცდის ჩატარების თარიღებისა და გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის შესახებ ინფორმაციის, ასევე, საგამოცდო პროგრამის საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნება.

6. აღნიშნული ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“
თავმჯდომარე

გიორგაძე სოსო